



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080161891623915

# 881

06 / ნომბერი / 2015

წ.

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 11 სექტემბრის #189 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>1</sup> და 36<sup>3</sup> მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის მე-11 მუხლის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 11 სექტემბრის #189 განკარგულებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში – „კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახი დემეტრაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ზაზა ნანობაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) კონსტანტინე გუგუშვილი – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

დ) გიორგი ლაცაბიძე - კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ე) ნატო თვალთვაძე – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;


ვ) თენგიზ თოფურიძე – კომისიის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის დირექტორი;

ზ) ვაჟა გურგენიძე – დამოუკიდებელი სპეციალისტი.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

№6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'მ. მსაგაძე' (M. Mtsagadze), written inside a hand-drawn blue rectangular box.

ლევან რაზმაძე